პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 74 (1088) | ხუთშაბათი, 20 ივნისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 80 კაპ.

☆

სურათზე: (ზევით)— მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. 200 მეტრზე რბენის ფინიში. (ქვევით) ქუთაისელი ჯ. გელაშვილი ბჯენითი ხტომის დროს.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

☆

„დიდი ნევის თასი"

ლენინგრადის დაარსებიდან 250 წლისთავს მიეძღვნა გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის" პრიზზე ნიჩბოსანთა მასობრივი შეჯიბრება, რომლის დროს მდინარე ნევას მონაკვეთი ლიტეინისა და დვორცოვი ხიდებს შორის გადაიქცა ვეებერთელა საწყლოსნო სტადიონად.

სტარტზე გამოვიდა დაახლოებით 600 ნიჩბოსანი. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი სპორტსმენებს ხელს არ უწყობდა, შეჯიბრება მაინც მწვავე გამოდგა.

სტარტზე პირველად გამოვიდნენ ქალთა სასწავლო ოთხმოსასხმელიანი ნავები, შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სპორტსაზოგადოება „კრასნოე ზნამიას" სპორტსმენებმა. ვაჟთა სასწავლო ოთხმოსასხმელიანებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს „ბურევესტნიკის" ნიჩბოსნებმა.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში „დიდი ნევის თასი" მოიპოვეს სპარტაკელებმა, „დიდი ნევის თასი" ბაიდარებსა და კანოეში მიენიჭათ ლოკომოტიველებს.

რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა თავისუფალ ჭიდაობაში: ამხ. ჯ. დავლიანიძეს (თბილისი „ბურევესტნიკი"), ჭიდაობა სამბოში ამხ. ა. ვარდოევს (თბილისი „ბურევესტნიკი").

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა ცურვაში — ამხ. ლ. კრილოვს (თბილისი „ბურევესტნიკი"), სიმძიმეების აწევაში — ამხ. ი. მჟავანაძეს (ბათუმი „ბურევესტნიკი").

მაღალი შედეგები ტყვიით სროლაში!

Სროლა სპორტის უძველესი სახეობაა. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ პირველი შეჯიბრება მოეწყო შვეიცარიაში 1471 წელს. ამის შემდეგ იგი ძალზე ნელი ტემპით ინერგებოდა და მხოლოდ XIX საუკუნიდან დაიწყო სროლის, როგორც სპორტის მასობრივი სახეობის განვითარება.

ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიექცა სპორტის ამ სასარგებლო სახეობას ჯეროვანი ყურადღება, როგორც მშრომელთა საბრძოლო მომზადებისა და სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი გაუმჯობესების მძლავრი საშუალება.

სპორტსაზოგადოება „დინამოს" ჩამოყალიბების ინიციატორის ფ. ძერჟინსკის მითითებით, ეწყობა სროლის წრეები, რომლებშიც ათასობით ახალგაზრდა ეუფლება სპორტის ამ რთულ სახეობას.

საბჭოთა მსროლელების ტრიუმფი იყო 1954 წლის ვენესუელის ქალაქ კარაკასში მოწყობილი მსოფლიო პირველობის გათამაშება, რომელშიც ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მსოფლიოს ჩემპიონის 81 მედლიდან მოიპოვეს 51, დაამყარეს 18 მსოფლიო რეკორდი, დაისაკუთრეს არგენტინის, შვეიცარიის, ჰელსინკის, ლიონის, ვენესუელისა და კლიუგერის პრიზები. მომდევნო წელს საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი ოსტატობა — ევროპის პირველობის გათამაშებაში დაამყარეს 20 მსოფლიო რეკორდი.

როგორც ვხედავთ სასროლო სპორტი საბჭოთა კავშირში წარმატებით ვითარდება. საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში არიან უკრაინელები, ბელორუსები, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები, მაგრამ საქართველოს მსროლელებს მათ შორის ვერ ვხედავთ. ეს იმიტომ, რომ სულ რამდენიმე წელია, რაც მიექცა სროლას ყურადღება და დოსაафის ორგანიზაციების გარდა მხოლოდ „დინამოსა" და „სპარტაკს" აქვს მსროლელთა სექციები. ეს რასაკვირველია არ კმარა. ტყვიით სროლა ჩვენგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. მართალია, მის დანერგვას მეტი სახსრები სჭირდება (ბაზა, სპეციალური იარაღი, ტყვია-წამალი), მაგრამ ეს უფლებას არ აძლევს „ბურევესტნიკს", „ლოკომოტივს", „კრასნოე ზნამიას" და სხვა ორგანიზაციებს ხელი აიღონ ტყვიით სროლის დანერგვაზე.

რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებს კარგად ახსოვთ თუ რა გაჭირვებაში იყვნენ ისინი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ, როდესაც საჭირო იყო მხოლოდ პირველთანრიგოსნებისაგან შემდგარი გუნდი. ტყვიით მსროლელებმა სპარტაკიადაზე მე-10 ადგილი დაიკავეს. მეტიც არ მოეთხოვებოდათ მათ. სირცხვილიდან გვიხსნა ანანიკიანმა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა.

სპარტაკიადის მწარე გაკვეთილიდან, რასაკვირველია, სათანადო დასკვნები იქნა გამოტანილი. შედარებით გაძლიერდა ძირეულ კოლექტივებში მუშაობა, თბილისში აიგო ტირი, შეძენილ იქნა იარაღი, მაგრამ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს ტყვიით სროლის განვითარებისათვის აღებული ტემპი არავითარ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს. აი ამის ნათელი მაგალითი. ამას წინათ დამთავრდა დოსააფის რესპუბლიკური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილე 80 სპორტსმენიდან მხოლოდ ოთხმა აჩვენა პირველი თანრიგი.

სპორტულმა საზოგადოებებმა უნდა ჩამოაყალიბონ არა მარტო ცენტრალური, არამედ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების სექციები. ა მ არსებობს სექცია თბილისის ჩარხმშენებელთა ქარხანაში, ხომ შეიძლება ასეთივე სექცია ჩამოვაყალიბოთ სხვა დიდ საწარმოებში? რასაკვირველია, შეიძლება. საჭიროა მხოლოდ საქმისადმი სიყვარული და სახსრებიც გამოჩნდება, მუშაობაც გაჩაღდება.

მართალია, სპორტსაზოგადოებებს მივუთითებთ სექციების ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ამ საქმეში მთავარი ტვირთი მაინც დოსაафის ორგანიზაციას აწევს. ამიტომ პირველ რიგში საჭიროა ყოველგვარი დახმარება აღმოვუჩინოთ ამ ორგანიზაციას, რომელმაც თავის მხრივ უფრო უნარიანად უნდა მოამარაგოს არსებული სექციები სასროლი მასალით და იარაღით, იზრუნოს ბაზების აგებაზე. ყოველივე ამის საშუალება რესპუბლიკის დოსაафის ორგანიზაციას აქვს. რესპუბლიკის მსროლელების მთავარი ამოცანაა ნაყოფიერი წვრთნით გააუმჯობესონ მოძველებული, 1949-50 წლების რეკორდები და რეკორდების ცხრილში აღნიშნული ათზე მეტი საწყისი ნორმატივი.

ოქტომბერში ჩატარდება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადა. ტყვიით სროლას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ამ დიდ ღონისძიებებში. ჩვენი მიზანია პროგრამაში შემავალ ყველა სახეობაში დავიკავოთ პირველი ადგილი. ტყვიით სროლაში ამ მიცანას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავჭრით თუ მთელი სერიოზულობით მოვეკიდებით საქმეს — ფიზკულტურულ-სპორტული და დოსაафის ორგანიზაციები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იბრძოლებენ სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის.

პირველი გამოშვება

საქართველოს მონადირეთა კავშირის პრეზიდიუმისა და სასტენდო სროლის სექციის ინიციატივით ჩამოყალიბდა სასტენდო სროლის სკოლა, რომელშიც გაერთიანდა 14 ახალგაზრდა. მსროლელები მეცადინეობას გადიოდნენ საერთაშორისო სპორტის ოსტატის ზ. მაჩხანელის, სპორტის ოსტატების ვ. ჯაბახიძის და შ. ჩახნაშვილის და საკავშირო კატეგორიის მსაჯის ლ. ციციშვილის ხელმძღვანელობით.

დამთავრდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობანი. დადგა სპორტული ნათლობის დღე, გასულ კვირას სკოლის წევრები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ადგილიდან სროლაში. პირველი სერიის 25-მა სამიზნემ ცხადყო, რომ უქმად არ ჩაუვლია მეცადინეობას. გ. ასათიანმა, გ. ჯინჭარაძემ და ვ. არუთინოვმა დააზიანეს 19-19 სამიზნე და ერთი ქულით გადააჭარბეს მეორე თანრიგის ნორმატივს, ხოლო ოთხმა სპორტსმენმა — თ. ბოკერიამ, გ. ბარძიმაშვილმა, გ. გიორგანაშვილმა და მ. კომახიძემ შეასრულეს მესამე თანრიგის ნორმატივი. ზემოაღნიშნული მეორეთანრიგოსნები მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის პირველობის გათამაშებაში.

ჰენლეის რეგატის წინ

საბჭოთა ნიჩბოსნები ემზადებიან უდიდეს საერთაშორისო შეხვედრისათვის — ჰენლეის რეგატისათვის. ამ შეჯიბრებას, რომელიც ეწყობა ტემზაზე, პატარა ინგლისურ ქალაქ ჰენლეის მახლობლად, საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს.

ამას წინათ მოსკოვთან ხიმკის წყალსაცავში ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება, რომელიც შერჩევით ხასიათს ატარებდა: გამარჯვებულნი ინგლისში გამგზავრების უფლებას ღებულობდნენ.

ჰენლეის რეგატის შემდეგ საბჭოთა ნიჩბოსნები მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვში ახალგაზრდობის III მეგობრულ თამაშებში. აქედან გაემგზავრებიან გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ევროპის პირველობაზე.

„ივნისის თამაშები"

შვეციაში დიდი პოპულარობით სარგებლობს „ივნისის თამაშები" — მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება. ამ ღონისძიებაში შვედებთან ერთად სტარტზე გამოდიან სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც. მიმდინარე წლის ზაფხულში სტოკჰოლმში მიწვეული იყვნენ საბჭოთა მძლეოსნებიც.

14 ივნისს შვეციის დედაქალაქის სამეფო სტადიონზე, წვიმისა და დაბალი ტემპერატურის (თერმომეტრი მხოლოდ + 12 გრადუსს აჩვენებდა) მიუხედავად, ათიათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი.

ორი წლის წინათ მოსკოველები ინტერესით ადევნებდნენ თვალს „დინამოს" სტადიონზე მხტომელი ბენგტ ნილსონის გამოსვლას. მაშინ შვედი სპორტსმენი ცნობილი მძლეოსანი იყო — ევროპის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო შეხვედრის პრიზიორი. ახლა როლები შეიცვალა: სტოკჰოლმელებმა აღიარეს ოლიმპიური პრიზიორის იგორ კაშკაროვის უპირატესობა. მძიმე გრუნტის მიუხედავად მოსკოველმა სტუდენტმა აიღო 201 სანტიმეტრი სიმაღლე. მისმა უახლოესმა კონკურენტმა შვედმა პეტერსონმა ორი მეტრის ზღვარი ვერ გადალახა.

თარჯრბენში დისტანცია ერთ წრეზე მეტი იყო, რადგან სამეფო სტადიონზე სარბენი ბილიკი 385 მეტრს უდრის. საბჭოთა კავშირის რეკორდსმენმა იური ლიტუევმა თარჯრბენში 400 მეტრზე აჩვენა 51,7 წამი.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა მათმა თანამემამულემ კელევოგმა, როდესაც მან 1 წამით გაუსწრო საუკეთესო საბჭოთა სტაიერს ა. დესიატჩიკოვს 3.000 მეტრზე რბენაში. შვედის შედეგია 8 წუთი 9,8 წამი.

ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა მოსკოველმა ნინო ოტკალენკომ — 56 წამი. მას გადაეცა შეჯიბრების ორგანიზატორების სპეციალური პრიზი. „ივნისის თამაშების" საუკეთესო სპრინტერად აღიარეს კიეველი ლეონიდ ბარტენევი. მან 100 მეტრი გაირბინა 10,7 წამში.

გამოირჩევა შედეგების სიმყარით ლვოველი სტუდენტი იგორ ტერ-ოვანესიანი. ცუდი ამინდის მიუხედავად იგი გამორბენით სიგრძეზე 7 მ და 39 სმ გადახტა, მას 70 სანტიმეტრით ჩამორჩა შეჯიბრების მეორე პრიზიორი შვედი ნორმანი.

ვ. კუცმა მიიღო ჰელმსის ჯილდო

1936 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ეგრეთწოდებული ჰელმსის ატლეტური ფონდი. ყოველწლიურად ეს ორგანიზაცია სპეციალურ ვერცხლის ჯილდოებს გადასცემს მსოფლიოს ექვს უძლიერეს სპორტსმენს.

მიმდინარე წელს ჰელმსის ატლეტურმა ფონდმა გამოაცხადა გასული წლის ექვსი უძლიერესი სპორტსმენი. ესენი არიან ვლადიმერ კუცი — ევროპიდან, პერი ობრაიენი—ჩრდილოეთ ამერიკიდან, მასურო ფურუკავა — აზიიდან, იულიუს ჩიგბოლუ— აფრიკიდან, ლორენ კრეპი — ავსტრალიიდან, მაიკ აგოსტინი — სამხრეთ ამერიკიდან.

ამას წინათ ვლადიმერ კუცის მისამართით მოვიდა ჰელმსის ფონდის ვერცხლის ჯილდო და წერილი, საიც ფონდის ორგანიზატორები თხოვენ გამოჩენილ საბჭოთა სპორტსმენს გაუგზავნოს მათ თავისი ფოტოსურათი.

ვლადიმერ კუცმა ჰელმსის ატლეტურ ფონდს გაუგზავნა წერილი „მადლობას გიხდით ჰელმსის ვერცხლის ჯილდოს მიღების გამო, — წერს კუცი. — განსაკუთრებით მახარებს ის, რომ მე ეს ჯილდო მივიღე შესანიშნავ სპორტსმენებთან ერთად, როგორებიც არიან პერი ობრაიენი, მასურო ფურუკავა, იულიუს ჩიგბოლუ, ლორენ კრეპი, მაიკ აგოსტინი. მე ეს ჯილდო მომაგონებს მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებზე გატარებულ დღეებს, სადაც ნამდვილი ამხანაგური და მეგობრული სული მეფობდა. სიამოვნებით გიგზავნით ჩემს ფოტოსურათს ავტოგრაფით. ვსარგებლობ შემთხვევით და გულითად სალამს ვუთვლი ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს.



ოსტატთა სავალდებულო ვარჯიშები

ვაჟები

ძ ე ლ ი

1. მარჯვენა ხელის ამოტაცით ნაირტაციდან ქვევლით გაქნევა, უკუქნევით ასვლით, წინფეხგადაქნევით და მარჯვნივ ზურგისაკენ ბრუნით კიდი, წინქნევით ზეშვერილი კიდი და

2. ამართასვლა, უკუქნევით ხელყირა და მარცხენა ხელის ამოტაცი.

3. წინგადაბრუნი, უკუქნევზე ასვლით და მარჯვენის ზურგისაკენ ბრუნით მოვლით გარელაჯული ბჯენი.

4. უკან დასვლით ზეშვერილი კიდი და ფეხების შეერთებით ქვევლით გაქნევა ზურგისაკენ ბრუნვით, მარჯვენის დატაცი, წინქნევით მარჯვენის ამოტაცი, მხრილი ან გამართული ფეხების გადაქნევით ასწრაფით უკანითი კიდი და გრეხილი.

5. უკუქნევით ასვლა დატაცში გადატაცით და უკუტრიალით ხელყირა.

6. წინქნევით ფეხშლილი ბჯენი.

7. უკუტრიალით ხელყირა.

8-9. ორი ალმატრიალი.

10. უკუმართმალაყით ჩამოხტომა.

შენიშვნა: ვარჯიში უნდა შესრულდეს გაჩერებათა გარეშე. ვარჯიში შეიძლება შესრულდეს საწინაალმდეგო მხარეს როგორც ნაწილობრივ, ისე მთლიანადაც.

რ გ ო ლ ე ბ ი

1. მართკიდიდან მკლავების ოდნავი მოხრითა და გაშლით ძალით (ნელა) გაზნექილი ზეშვერილი კიდი.

2. ზეშვერილი კიდი და გრეხილით გაზნექილი ზეშვერილი კიდი.

3. გრეხილი და ასწრაფვით ხელყირა (ყოვნა).

4. ძალით გაზნექილი ზეშვერილი კიდში დაშვება.

5. უკუქნევით ასვლა, წინშვერი (ყოვნა).

6. მოხრილი მკლავებით და გამართული წელით ძალით (ნელა) ხელყირა (ყოვნა).

7. ნელა გამართულა მკლავებით თარაზულ ბჯენში დაშვება (ყოვნა).

8. უკან [illegible] გაზნექილი ზეშვერილი კიდი, წელში მოხრითა და გაშლით გრეხილით ზეშვერილი კიდი, უკან ამართასვლა.

9. წინქნევით კიდი.

10. უკან ქნევით, შეკუზით ზეშვერილი კიდი და უკან ფეხშლილი ჩამოხტომა.

მიმდინარეობს მოსწავლეთა IX რესპუბლიკური სპარტაკიადა

★ ○ ★

ჩოგბურთი

დამთავრდა ჩოგბურთელთა გუნდური პირველობა. პირველი და მეორე ადგილებისათვის მებრძოლი კოლექტივების—თბილისისა და აფხაზეთის შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა — 13:2. ამ გუნდების ერთეულთა შეხვედრაში საინტერესო გამოდგა თბილისელ ვ. გოგლიძისა და აფხაზეთის წარმომადგენელ ქ. ყაზარიანის ორთაბრძოლა. თბილისელმა, რომელიც ძლიერ სპორტსმენად ითვლება, ამ დღეს უპასუხისმგებლოდ ჩაატარა შეხვედრა და დამარცხდა.

აჭარისა და ქუთაისის ნაკრები გუნდების შეხვედრის ანგარიშია 9:6 ქუთაისელთა სასარგებლოდ. ამრიგად, პირველ ადგილზე გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები, მეორეზეა აფხაზეთი, მესამეზე — ქუთაისი.

ვ. ხანდამიშვილი

სპარტაკიადის მომავალი

მძლეოსნობა

შეჯიბრების მეორე დღეს კიდევ 9 სახეობაში გამოვლინდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები. კვირას ჩატარებულ გოგონათა წინასწარ შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენაში 42 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათგან მხოლოდ უძლიერესებმა მოიპოვეს ფინალში ბრძოლის უფლება, სადაც გამარჯვებული გამოვიდა თბილისის I გუნდის წევრი ტ. პშენიჩნაია. მისი შედეგია 12,7 წამი. უკანასკნელ მეტრამდე ერთმანეთს მხარდამხარ მისდევდნენ მეორე ადგილის პრეტენდენტები ლ. პუტინცევა (თბილისი I) და ს. კოლესნიკოვა (თბილისი II). მხოლოდ უკანასკნელ მეტრზე შეძლო პირველმა 0,1 წამით გასწრო მოწინააღმდეგისათვის და შედეგით 13,2 მეორე ადგილზე გამოსულიყო.

უფრო დაძაბული გამოდგა ვაჟთა ფინალური გარბენი იმავე დისტანციაზე. ის იყო მესტარტის დამბაჩამ დაიქუხა, რომ ბილიკებზე საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა თბილისის I გუნდის წევრებს ა. ბედუკიძეს, ი. ბაბალიკაშვილსა და ზ. გოლდის (აჭარა) შორის. როცა შეჯიბრება დამთავრდა, აღმოჩნდა რომ ე. ბედუკიძესა და ი. ბაბალიკაშვილს ერთნაირი შედეგი — 11,4 ჰქონდათ, მაგრამ ბედუკიძემ ზედ ფინიშზე მკერდით მიასწრო მოწინააღმდეგეს. გამარჯვებულებს აჭარის წარმომადგენელი ჩამორჩა 0,1 წამით.

ერთ-ერთი უძლიერესია სტალინირელი ლ. ლოხოვი სიმაღლეზე ხტომაში, მაგრამ სპარტაკიადაზე წარუმატებლად გამოვიდა და იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო, სამაგიეროდ დამარცხებისათვის მან რევანში აიღო სიგრძეზე ხტომაში — 6,66 მ. მისი თანაგუნდელი ი. ჯიოევი ბევრს ეცადა გაეუმჯობესებინა ლოხოვის შედეგი, მაგრამ მისი საუკეთესო ნახტომი 6,45 მ-ს არ აღემატებოდა.

მაღალი მაჩვენებლებით აღინიშნა ჭაბუკთა შეჯიბრება შუბის ტყორცნაში. თბილისის პირველი გუნდის წევრის გ. ძიძავაძის ნასროლი შუბი 52,01 მეტრზე დაეცა. მას მიეკუთვნა პირველობა, რადგან ამ შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო, მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ნ. კარსანტია (აფხაზეთი) — 50,55 მ და გ. მიქაბერიძე (თბილისი I) — 48,77 მ.

მოგვყავს სხვა შეხვედრების ტექნიკური შედეგები:

ჭაბუკები. **რბენა 400 მ**—მ. მატუშენკო (სამხრეთ-ოსეთი) — 53,6; დ. ანჯაფარიძე (ზუგდიდი) — 54,3; ო. ცხადაძე (თბილისი I) — 54,8. **ბირთვი** — ო. ეზუხბაია (აფხაზეთი) — 11,80 მ; ი. რუხაძე (აჭარა) 11,24 მ და ნ. ყიფიანი (თბ. I) — 11,18 მ.

გოგონები. **ხტომა სიგრძეზე** — რ. იანშინა — 5,15 მ. ლ. ალიაზოვა — 5,06 მ. ზ. სანეევა (ყველა თბილისი I) — 4,94 მ. **80 მ თარჯრბენში** — რ. იანშინა — 12,6; ლ. ალიაზოვა — 12,7; ვ. ლემენჩუკი (თბ. II) — 12,7. **ბირთვი** — ა. დიაჩკოვა (თბ. I) — 11,15 მ; დ. კილასონია (თბ. I) — 10,37 მ; ლ. ეზუგბაია (აფხაზეთი) — 10,17 მ; **ბადრო** — მ. ნედელია (აჭარა) — 42,69 მ; ი. ოგანეზოვა (თბ. I) — 41,79 მ; დ. კილასონია (თბ. I) — 33,76 მ. **ხტომა სიმაღლეზე** — ნ. ბადულინა (ფოთი) — 1,45 მ; ნ. ჩოჩიშვილი (ხაშური) — 1,40 მ; ი. პეიშვილი (ლანჩხუთი) — 1,30 მ.

ტანვარჯიში

მესამე დღეს გოგონებიც ჩაებნენ შეჯიბრებაში. მოზარდთა I თანრიგში სავალდებულო ვარჯიშები კარგად შეასრულეს ქუთაისლებმა ე. ბენიძემ, რ. თორაძემ, დ. დიველვამ და პირველი სამი ადგილი მოიპოვეს.

შეჯიბრების დებულების თანახმად ტანვარჯიში, რომელიც სავალდებულო ვარჯიშებში ვერ დააგროვებს შესაძლებელი ქულების 60 პროცენტს მაინც, ნებისმიერ ვარჯიშებზე არ დაიშვება. ჭაბუკები ძირითადად ტაიჭმა დაჩაგრა და 31 მონაწილიდან 5-ს დააკარგვინა ბრძოლის გაგრძელების საშუალება. გოგონებს გურზებმა „დაუგეს მახე“ და 41 მონაწილიდან 11 გამოთიშეს ასპარეზობიდან.

მოზარდთა I თანრიგში ვაჟთა შორის პირველი ადგილისაკენ მტკიცედ მიიკვლევდა გზას ბათუმელი ვ. ზესსმერტნი. მან ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და 100,2 ქულით პირველი ადგილი დაისაკუთრა. მეორე ადგილზე თბილისელი ნ. სვანიშვილი გამოვიდა. მესამეზე—ქუთაისელი ქათამაძე შვიდი იარაღის შემდეგ მოზრდილთა I თანრიგში ხოდიკიანმა თავის თანაგუნდელ ფრიდონაშვილს თითქმის 1 ქულით გაუსწრო, მაგრამ ფრიდონაშვილმა ფარ-ხმალი არ დაყარა, თანდათან შეამცირა განსხვავება და საბოლოოდ 0,6 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ ქ. ხოდიკიანს. მესამე ადგილი 103 ქულით ქუთაისელ გ. ჩოგოვაძეს დარჩა.

ოსტატთა პროგრამით მონაწილე ჭაბუკთა შორის პირველობისათვის ბრძოლა თბილისელებს ნ. მაკალათიასა და გ. გრომოვს შორის გაიმართა.

მაკალათია პირველი იარაღიდანვე დაწინაურდა და ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია მეხუთე იარაღამდე. აქ მაკალათიას ტაიჭმა წაიფორხილა, „მხედარი“ ზურგიდან გადმოაგდო. გრომოვმა ვარჯიში უკეთ შეასრულა და ლიდერს გაუთანაბრდა. აქამდე ნაღდი პირველი ადგილი მაკალათიასათვის ახლა უკვე საეჭვო გახდა. პირველობის ბედი უკანასკნელ იარაღზე—ღერძზე ვარჯიშს უნდა გადაეწყვიტა. იარაღთან პირველი გრომოვი მივიდა და 8,2 ქულა მიიღო. მსაჯებმა მაკალათიას ვარჯიში შეაფასეს 8,85 ქულით.

ამრიგად, სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ნ. მაკალათია (51,35 ქულა), მეორე ადგილზე 50,7 ქულით გრომოვი გამოვიდა. მესამე ადგილი მოიპოვა ქუთაისელმა დ. გელაშვილმა.

შეჯიბრება გრძელდება.

ა. ბარნოვი

კალათბურთი

ბათუმის „სპარტაკის“ ბაზაზე ტარდება კალათბურთელ ჭაბუკთა და გოგონათა შეხვედრები. პირველ დღეს საინტერესო იყო ქუთაისისა და ფოთის ჭაბუკთა გუნდების შეხვედრა. ქუთაისლებმა მხოლოდ უკანასკნელ წუთებში შეძლეს უპირატესობის მოპოვება და გაიმარჯვეს — 63:59. თბილისის გოგონათა I გუნდს ერთხანს სათანადო წინააღმდეგობას უწევდნენ სტალინირელი კალათბურთელები, მაგრამ ინიციატივა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა — 57:33.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა ბათუმისა და თბილისის ვაჟთა I გუნდის შეხვედრა. თბილისელთა ყოველგვარი ცდა, ხელთ ეგდოთ ინიციატივა, მარცხით მთავრდებოდა. ბათუმელებმა არა მარტო შეძლეს თბილისელთა გამუდმებული იერიშების უვნებელყოფა, არამედ თანდათან დაეუფლნენ მოედანს და ზედიზედ განახორციელეს ზუსტი ტყორცნები. როცა მსაჯის საფინალო სასტვენი გაისმა, ანგარიში იყო 77:70 ბათუმელთა სასარგებლოდ.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია:

გოგონები. ბათუმი-სოხუმი—40:46; თბილისი II-ქუთაისი — 47:31, ხაშური-სტალინირი — 45:37, თბილისი I-თბილისი II — 67:28, ბათუმი-ქუთაისი — 62:48, ქუთაისი-სოხუმი —46:36, ბათუმი-თბილისი I—27:60, თბილისი II-ხაშური — 62:31.

ჭაბუკები. თბილისი I-თბილისი II — 88:53; სოხუმი-სამტრედია — 76:48; ბათუმი-თელავი — 91:34, თბილისი II-სამტრედია — 85:51; ქუთაისი-თელავი — 81:36; სოხუმი-ფოთი — 80:48; სოხუმი-თელავი — 54:38; თბილისი I-ქუთაისი—107:52; ბათუმი-თბილისი II — 84:44; ფოთი-სამტრედია — 62:58.

ი. პარლაგაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

წყალბურთი

შეხვედრები ტარდება ბათუმის წყალცოსნობის სადგურში. პირველობისათვის იბრძვის რვა კოლექტივი.

პირველ დღეს გაიმართა ოთხი შეხვედრა. თბილისის განათლების განყოფილების I გუნდმა დაამარცხა რკინიგზის სკოლების ნაკრები—11:0. თბილისის II გუნდმა მოუგო ქუთაისს — 6:1. „შრომითი რეზერვების“ წყალბურთელებმა ბათუმთან შეხვედრაში განიცადეს დამარცხება — 1:7, ხოლო სოხუმისა და ფოთის წყალბურთელთა მატჩი დამთავრდა სოხუმელთა გამარჯვებით — 12:1.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრება თბილისის განათლების განყოფილების I და ბათუმის გუნდებს შორის. მატჩი მწვავედ დაიწყო, მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. შეხვედრის ანგარიშია 3:3.

მოგვყავს სხვა შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები:

ბათუმი-რკინიგზის სკოლების ნაკრები — 5:1, თბილისის განათ. განყ. I-„შრომითი რეზერვები“ — 7:2, ქუთაისი-ფოთი — 6:1, რკინიგზის სკოლების ნაკრები-ქუთაისი — 1:0, სოხუმი-„შრომითი რეზერვები“ — 6:2, თბილისის განათლების განყოფილების II გუნდი-ფოთი — 10:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ივნისისათვის ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	11	7	3	1	14:5	17
„დინამო“ ქ.	11	6	4	1	16:6	16
„სპარტაკი“ მ.	12	6	3	3	19:11	15
„დინამო“ თბ.	11	7	1	3	17:11	15
„ტორპედო“	11	5	3	3	20:13	13
„ლოკომოტივი“	10	5	2	3	14:11	12
ცსკ მო	11	5	1	5	17:16	11
„ბურევესტნიკი“	12	1	7	4	10:13	9
„შახტიორი“	12	3	3	6	8:14	9
„კრ. სოვეტოვი“	11	1	5	5	3:10	7
„ზენიტი“	11	1	3	7	8:24	5
„სპარტაკი“ მნ.	11	1	3	7	3:15	5

• • •

მინსკი, 17 ივნისი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და „შახტიორი“ (სტალინო).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

საერთაშორისო შეხვედრები

ჩვენს ქვეყანაში ტურნეს ატარებს ბრაზილიის საფეხბურთო კლუბის „ბაიას“ გუნდი.

ამ დღეებში „ბაიამ“ ჩაატარა ორი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ჩვენს გუნდებთან. ბრაზილიელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს კომინიოვის „ბურევესტნიკი“ და ფრედ ითამაშეს მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 2:2.

სსრ კავშირის თასზე

გრძელდება მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში.

გათამაშებაში ჩაებნენ „ა“ კლასის კოლექტივები, რომელთაგან ერთმა უკვე განიცადა დამარცხება — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ წააგო შეხვედრა სტანისლავში ადგილობრივ „სპარტაკთან“ — 0:1.

★ **დ. ციმაკურიძე,**

სპორტის დამსახურებული ოსტატი. ★

ჩემპიონატის გახსნის დღეს „მეთ-ატ-ფაშა“ სრულ სპორტულ ფორ-მაში იყო. ხალხმა დიდი ხნით ადრე აიკავა ადგილები ტრიბუნებზე, მა-რამ სტადიონის შესასვლელი მა-ც გარშემორტყმული იყო მოყ-ულთა ათასებით. აქ ევ ერთხელ მინდა აღ-ვნიშნო არქიტექტორის ხედვულება, რომელ-ც სტადიონის შესასვლე-ს მოსალოდნელი შტუ-ც გაუთვალისწინებია შესასვლელი ისე მოა-, რომ ორი კაცი ერ-დ ვერ გაივლის. კონსტ-ქცია არ არის მაინცდა-ნც რთული, — იგი და-ლოებით ჩვენი ფუნიკუ-რის შესასვლელს წაა-ს, მაგრამ მეტად რაცი-ნალური და გონებამახვი-ერია — უბილეთოს აქ მე არა აქვს.

ეღრუბლო, გამჭვირვა-ცაზე მზემ დილიდან ჰაჭყიტა და ნაშუად-ისათვის ისე დაცხა, მ სტადიონს ბუღი ას-და. ბოლოს მოახლოვ-ჩემპიონატის გახსნისა საზეიმო ცერემონიალის დაწყე-დრო.

საერთოდ, მსოფლიო პირველო-ის ან სხვა რომელიმე დიდი შე-ბრებების საზეიმო გახსნა თითქ-ყოველთვის ერთნაირია. არის იკის ხმები, ტაშის ცემა, მისა-მები, სიტყვები და, რაც მთავა-, მოლოდინი იმისა, რომ სულ მა-ოფიციალურ ნაწილს მოყვება ჭიდავეთა პირველი გამოსვლები. ტომ, ერთი საგულისხმო ფაქტი არ მომხდარიყო, არ შევჩერდე-დი ჩვენი პირველობის გახსნაზე. ავტორი იყო არა ერთი კაცი, მედ მთელი გუნდი, რომელიც ძლება ერთი კაცის მითითებით მედებოდა. საქმე იმაშია, რომ სა-მო სვლის შემდეგ თურქეთის დმა დაარღვია ალფაბეტი და ონას თავში მოექცა. ამითი რის ა უნდოდათ მასპინძლებს, გაუ-არია. თავიანთ სტადიონზე თურ-შეეძლოთ ცხენებით შემოსუ-ყვნენ ან თუნდაც ავტომანქანე-, ამისათვის მათ არავინ დასჯი-საერთაშორისო ნორმებისა წესებისადმი პატივისცემა კი თხოვდა იმას, რომ მასპინძლებს მოკრძალება და თავდაჭერა ემჟღავნებინათ.

სავათაშორის, ასეთი საქციელი ულად მაყურებელმა შეამჩნია. რა თქმა უნდა, არ მოეწონა თა-გუნდის ეგზომ ქედმაღლური ტი და ყრუ გუგუნით უპასუხა ამბავს. ცერემონიალმა დიდხანს ანა და ხალხმა უკვე ხმამაღლა წყო უკმაყოფილების გამოთქმა. ცი იყო რომ ჩემპიონატის საზე-გახსნის რაღაც განსაკუთრე-ლი პათოსით ჩატარება არ მოხერ-

ეხვედრები ერთდროულად დაიწ-ორ სარბიელზე და, როგორც წე-იგი უმჩატესი და მჩატე წონის ოდავეებმა გახსნეს. ჯერ არც ურებელი, არც მსაჯები და არც თვით სპორტსმენები არ იყვნენ შე-სული აზარტში, რომ მოხდა პირვე-ლი მოულოდნელობა — იაპონელი იოსიდა მე-5 წუთზე ბეჭებით დაე-ნარცხა ხალიჩას. ამას ყველაზე უფ-რო არ მოელოდა იაპონელის მე-ტოქე — შვეიცარელი ლოჰერი. არ მოელოდა და რაღაც გაკვირვე-ბული უყურებდა იოსიდას, რამეში ხომ არ ვტყუვდებიო. იგი ფიქრე-ბიდან გამოირკვა მაშინ, როდესაც ხალხის საერთო ხარხარში მას მსაჯ-მა გამარჯვების ნიშნად ხელი აუ-წია. პირველ წრეში მეტი არაფერი მომხდარა საგულისხმო. ცალქალამა-ნიძემ ქულებით მოუგო ბულგარელ ჯენდოვს, ხოლო თურქმა ქართალმა მე-5 წუთზე დააწვინა პოლონელი კლეინი. ქართალის გამარჯვებამ ისე-თი აურზაური და ტაშის ცემა გამო-იწვია სტადიონზე, რომ ცხადი გახდა გარედან მხარდაჭერის იმედი არ უნდა გვქონოდა.

(გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 72, 73)

მეორე წრეში გამწარებულმა იო-სიდამ ჯავრი რუმინელ რუქიზე იყარა და მე-10 წუთზე სუფთად დააწვინა. მირიანმა, შედარებით იო-ლად, ისე როგორც ვარჯიშზე ხდე-ბა, წუთნახევარში ხიდურზე დააყე-ნა პოლონელი კლეინი და მალე ბეჭებით მიაკრა ხალიჩას. ქართალი ამ დღეს ისვენებდა. ჯერჯერობით კარგად მიდიოდა იტალიელი დია-მანტი, მას ჰქონდა ორი გამარჯვე-ბა, მათ შორის ერთი სუფთა, ირა-ნელ ჰასანზე.

მეორე დღეს უმჩატეს წონაში ცენტრალური შეხვედრა იყო იტა-ლიელ დიამანტისა და მირიან ცალ-ქალამანიძის ბრძოლა — ქართალს შეხვედრა რუქისთან (რუმინეთი) ქულებით უკვე მოგებული ჰქონდა და ახლა თავის მწვრთნელთან ერ-თად გულდასმით აკვირდებოდა მი-რიანის ჭიდაობას. მწვრთნელი გამა-ლებით იწერდა შენიშვნებს ბლოკ-ნოტში და ხანდახან ნელი ხმით გა-დასძახებდა თავის მოწაფეს. ხალი-ჩაზე კი ამ დროს ცალქალამანიძე ქულას ქულაზე აგროვებდა.



...ჭიდაობის დაწყებიდან მხოლოდ ექვსი წუთი იყო გასული, მირიანს კი ისეთი უპირატესობა ჰქონდა, რომ გამარჯვებაში ეჭვის შეტანა არც კი შეიძლებოდა. იტალიელს, როგორც ჩანს, ჩოქბჯენის იმედი ჰქონდა და პირველ ექვს წუთში და-კარგული ქულების ანაზღაურებას აქ ცდილობდა. მაგრამ ამაოდ. ჩოქ-ბჯენში მას კიდევ ერთხელ მოუხდა ხიდურზე დადგომა. ეს კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ მისთვის ყველაფერი დაკარგული იყო. ბოლო ორ წუთში დიამანტიმ მიზნად დაი-სახა მხოლოდ ქულებით წაგება და უნდა ითქვას, რომ მისი საჭიდაო გეგმიდან მხოლოდ ეს პუნქტი გა-ხორციელდა. მსაჯებმა ქულებით გა-მარჯვება ერთხმად ცალქალამანიძეს მიაკუთვნეს.

სამი წრის შემდეგ მონაწილეთა რიცხვი ამ წონაში საკმარისად გაი-ცხრილა. შემდგომი ბრძოლა შეწყ-ვიტეს ზოეცმა (საფრანგეთი), კლეი-ნმა (პოლონეთი), ჰასანმა (ირანი), რუქიმ (რუმინეთი), ნეფიმ (გერმა-ნია) და ჯენდოვმა (ბულგარეთი). დარჩა მხოლოდ 5 მოჭიდავე, რომ-ლებსაც საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლის უფლება ჰქონდათ.

იაპონელმა იოსიდამ შვეიცარე-ლთან წაგების შემდეგ (პირველ წრეში) საგრძნობლად გაიფუჭა მდგომარეობა. მაგრამ მან მაინც და-ამტკიცა, რომ ძლიერი მოჭიდავეა და რომ მისი წაგება პირველ წრე-ში შემთხვევითი იყო. ქართალი რა-საკვირველია, არ ელოდა იაპონელ-თან იოლ გამარჯვებას, მაგრამ მოგებაში იგი ისევე, როგორც მისი კოლეგები და მწვრთნელები, მტკი-ცედ იყო დარწმუნებული. მოხ-და კი საწინააღმდეგო. იაპონელმა თურქს პირველ ექვს წუთში წაარ-თვა რამდენიმე ქულა. ჩოქბჯენში ქართალმა უსისტემო შეტევებით და-აპირა ქულების დაგროვება, მაგრამ იერიშებში გართულმა დაივიწყა თავდაცვა და კიდევ ორჯერ აღმო-ჩნდა არახელსაყრელ მდგომარეო-ბაში. შეხვედრა დამთავრდა იმით, რომ ირანელმა მსაჯმა საკმაოდ უხალისოდ აუწია ხელი იაპონელს. იოსიდასთვის ამ საპატიო გამარჯვე-ბას არ ჰქონდა მნიშვნელობა, რად-გან მან მიიღო მეექვსე საჯარიმო ქულა და ვერ მოხვდა ფინალში.

ოქროს მედლისათვის ბრძოლის პრეტენდენტთა შორის დარჩა მხო-ლოდ სამი მოჭიდავე: მირიან ცალ-ქალამანიძე, რომელსაც ჰქონდა ერ-თი საჯარიმო ქულა დიამანტისაგან, ქართალი (მას არ ჰქონდა არც ერ-თი ჯარიმა) და დიამანტი — სამი ქულით. მეხუთე წრეში გაიმართა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრა-ლური შეხვედრა ცალქალამანიძესა და ქართალს შორის.

ყველა ნათლად გრძნობდა, რომ ეს შეხვედრა გადამწყვეტი იყო ჩემპი-ონის სახელისათვის ბრძოლაში და მსაჯთა კოლეგიამ ცენტრალურ სა-რბიელს მიამაგრა „კვალიფიცირე-ბული“ მსაჯები. არ გვესიამოვნა, როდესაც გავიგეთ რომ არბიტრად ამ ბრძოლაში დანიშნული იყო ირა-ნელი. საერთოდ ირანელ მსაჯებს ჭიდაობის არცოდნას ვერ დასწამებ, ისინი ბრწყინ-ვალედ და შეუცდომლად ერკვევიან ურთულეს ტე-ქნიკურ ელემენტებში, მაგრამ ამავე დროს უაღ-რესად არაობიექტურნი არიან და ხშირად თვალს ხუჭავენ უბრალო შეცდო-მაზეც კი, თუ ეს მათ არ აწყობთ.

...ტრადიციული მისალ-მების შემდეგ მეტოქეები გაავთრებული ეკვეთნენ ერთმანეთს და ცხადი გა-ხდა, რომ არც მირიანი და არც ქართალი არავი-თარ დაზვერვაზე არ ფიქ-რობდნენ პირველსავე წუთზე მირიანმა მარცხენა ფეხი, ვითომ შემთხვევით, გამოსდო თურქს და ჩააგ-დო ჩოქბჯენში. ჩოქბჯენს იმიტომ ვამბობ, რომ ჭი-დაობაში არსებობს წე-სი—თუ მოჭიდავე ოთხი წერტილით შეეხო ხალიჩას, ითვ-ლება რომ მან წააგო სულ ცოტა, ქულა მაინც. ამას მიემატა ისიც, რომ ქართალმა მდგომარეობის გამო-სწორება ცადა გაქცევით და ხოხ-ვით გავიდა ლეიბს გარეთ და იქ წამოხტა. ირანელმა მსაჯმა „ვერ შეამჩნია“ ეს უპირატესობა და მო-ჭიდავეებს ბრძოლა გააგრძელებინა დგომში. ანალოგიური მდგომარეობა განმეორდა კიდევ ორჯერ, მაგრამ ირანელ არბიტრს, როგორც ჩანს, ლიბრი გადაეფარა თვალზე და ვერ ამჩნევდა ვერაფერს, რაც ცალქალა-მანიძის სასარგებლოდ უნდა გადამ-წყდარიყო. ასე გავიდა უთანაბრო ბრძოლის პირველი ექვსი წუთი და მსაჯებმა აღნიშნეს ყაიმი.

ჩოქბჯენში ზემოდან პირველად ქართალი მუშაობდა. ერთ-ერთი ხე-რხის ჩატარებისას მირიანმა დაიჭი-რა ქართალი კონტრილეთზე და ხი-დურით გადააგდო იგი ლეიბზე. ობი-ექტური მსაჯები მირიანს სუფთა გამარჯვებას მისცემდნენ, რადგან თურქი ბეჭებით შეეხო ხალიჩას, მაგრამ ისიც გასაკვირი იყო, რომ მათ ორი ქულა გაიმეტეს ჩვენს სა-სარგებლოდ.

დარჩენილ წუთებში ორივე მე-ტოქე ძალებს ინახავდნენ გადამწყ-ვეტი შერკინებისათვის. ქართალი ახერხებს ერთქულიანი ილეთის ჩა-ტარებას, რასაც მირიანი ახალი შე-ტევით პასუხობს. თურქს არაფერი რჩება ლეიბიდან გარეთ გაქცევის გარდა. დამთავრდა ბრძოლა. არბი-ტრმა საკმაოდ უხალისოდ აუწია ხე-ლი მირიანს გამარჯვების ნიშნად. ჩვენი მოჭიდავეები იმავ წამს მიეხ-ვივნენ მირიანს, მიულოცეს გამარჯ-ვება და თითქმის პირველი ადგილი. მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდ-გა. დაახლოებით საათნახევრის შემ-დეგ დიქტორმა მოულოდნელად გა-მოაცხადა, რომ მსაჯთა კოლეგიამ განიხილა ცალქალამანიძე-ქართალის ბრძოლის საკითხი და იგი საყაიმოდ ცნო. მეტი უსამართლობის წარმო-დგენა შეუძლებელი იყო.

თუმცა ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დაკარგული. ცალქალამანი-ძემ მართალია დაამთავრა შეჯიბ-რება სამი საჯარიმო ქულით, მაგ-რამ წინ იყო უკანასკნელი ბრძოლა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გამოე-რკვია პირველი სამი ადგილის ბედი.

ქართალი—დიამანტი. საინტერე-სოა რას მოიტანს ეს შეხვედრა. რა ახალ სიურპრიზს შემოგვთავაზებენ მსაჯები. ამ დროისათვის უკვე გა-მოირკვა, რომ მირიანის საქმე ჯერ არც ისე ცუდად ყოფილა. ქართალს შეხვედრა მხოლოდ სუფთად უნდა მოეგო, რომ ჩემპიონი გამხდარიყო. ყველა სხვა ვარიანტში ოქროს მე-დალი ცალქალამანიძეს რჩებოდა.

ქართალი იტალიელს რა თქმა უნდა ბუფთად ვერ მოუგებდა, რა-დგან ეს უკანასკნელი საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეა. ჩვენი სიტყვე-ბის სისწორე გამომჟღავნდა პირვე-ლსავე წუთებზე. იტალიელმა ბრძო-ლა ისეთი თავბრუდამხვევი შეტე-ვებით დაიწყო, რომ თურქი ძლივს გადარჩა სუფთა წაგებას. შემდგომ-ში უპირატესობა მთლიანად დიამა-ნტის მხარეზე გადავიდა, რომელიც ლეიბის ბატონ-პატრონი [illegible] წუთამდე. შეხვედრის დამთავრებას აკლდა რამდენიმე წამი — დიამან-ტის ქართალი ჩოქბჯენში ჰყავდა. მოულოდნელად იტალიელი გადაბ-რუნდა და ბეჭებით შეეხო ხალიჩას.

ეს წაგება იმდენად არაბუნებრი-ვად და ულაზათოდ დადგმულ სპექტაკლს ჰგავდა, რომ ხალხი მას ძორცხვი დუმილით შეხვდა, საიდუ-მლოება ცოტა მოგვიანებით გავიგეთ. თურქეთის გუნდის მწვრთნელი მო-ლაპარაკებია იტალიის გუნდის მწვრთნელს, ნურის (რომელიც აგ-რეთვე თურქია და იტალიაში კონტ-რაქტით მუშაობს) ამ შეხვედრის შედეგზე. გადაწყდა, რომ დიამანტი იბრძოლებდა მთელი ძალით მხო-ლოდ 11 წუთს და შემდეგ დაუწვე-ბოდა თურქს. ასეთ პირობებში ქარ-თალმა მოახერხა პირველ ადგილზე გასვლა. ცალქალამანიძეს გადაეცა ვერცხლის მედალი და კიდევ ერთ-ხელ გახდა უგვირგვინო ჩემპიონი.

(გაგრძელება იქნება)

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ცალქალამანიძე (მარცხნივ) და მისი კოლეგები ქა-ლაქში გასეირნების დროს. ქვევით —ოგანი-ბალავაძის (მარჯვნივ) შეხ-ვედრა ყაიმით დამთავრდა.

სპორტული ქრონიკა

ხ ო ბ ი ს რაიონის მოჭადრაკეთა პირველობაზე გამარჯვებისათვის იბრძოდა 12 სპორტსმენი. 11 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა გ. რუსიამ (ხობის საშუალო სკოლა), 10,5 ქუ-ლით მეორე ადგილი წილად ხვდა თ. ლატარიას (ბიის საშუალო სკოლა). მესამე ადგილზეა ხობის მტს-ის წარ-მომადგენელი შ. კვარაცხელია.

ვ. შონია

• • •

ლანჩხუთი. მოეწყო რაიონის პირ-ველობა მოსწავლეთა შორის ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონატში მონაწილე-ობდნენ რაიონის სკოლების სპორტ-სმენები. პირველობა მოიპოვეს პირ-ველი სკოლის მოჭიდავეებმა, მეორე ადგილზე არიან მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლეები. პირად პირვე-ლობაზე გაიმარჯვეს ე. ჩხაიძემ, ზ. ნარსიამ, ს. წილოსანმა, ფ. ჩხაიძემ, ნ. წერეთელმა, მ. კანდელაკმა, ხ. ურუ-შაძემ, ნ. გიორგაძემ.

ზ. სარჯველაძე.

• • •

დამთავრდა „კოლმეურნის“ აჭარის საოლქო საბჭოს პირველობა მძლე-ოსნობაში. გუნდურ ჩათვლაში პირ-ველი ადგილი მოიპოვეს ბათუმის რაიონის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილი წილად ხვდათ ქობულეთის რაიონის მძლეოსნებს.

ძეჯიბრებაში მონაწილე 103 სპორტსმენიდან მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა ერთმა, ხოლო მესამეთანრიგისა — შვიდმა მძლე-ოსანმა.

ნ. კილაძე

• • •

ჩოხატაურში ჩატარდა რაიონული პირველობის გათამაშება ლელო-ბურთში, რომელშიც 8 გუნდი მონა-წილეობდა. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ფინალური შეხვედრა რა-იონის ორგზის ჩემპიონის ჩოხატაუ-რისა და ფარცხნის კოლმეურნეობა-თა გუნდებს შორის. გაიმარჯვა ფარცხნის გუნდმა — 14.9

გ. ახალაია

ქ რ ო ნ ი კ ა

22 ივნისს ალ. ჯაფარიძის სახე-ლობის საქართველოს ალპური კლუ-ბის საჯარო სხდომის დარბაზში მთამსვლელი ქ. ჯავრიშვილი გააკე-თებს მოხსენებას — „ქობთავის გა-მოქვაბული“.

დასაწყისი საღ. 8 საათსა და 30 წუთზე.



კოშკი დაინახეს მეთევზეებმა

ბათუმშიც ყველზე მეტად ოფრანიძეები ბაზების ნაკლებობა სპეციალი კეკვირის ხალხი სპორტკიოდის ადგილზე ზზაგებინ პეიოდში. „სპორტკოლა“, „ბეფრეკეტლეკოსი“ და კიდეკ ორიოდე სხვა ფილაბში, ტეტდა მეიოე ოოლეთბიაა ლია ბაზები ეგზეკეტდეკ კეიტლეკ შეკეთებას საჭიროებენ. მაგრამ მეშინ ამისათვის არავის ეეიოლ. დამოკიკოა ეგსეკეკ ეეოის ეეიოლ ეეოდეეეს სპორტეკი ლიანიოტეკა და ბათეეშინ დიოეეეკ „სპორტკოლა“ და „ბეეეკეკეტლეკოკ“ დაინახეეეს, „დინამოს“ სტადიონის ეეკეკეეეს, რომლეეეც ეეიოინ ეეიოინ სეეოეკეკ ტეკეეე